



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

თავის მიმოხილვა

2023

ინფლაცია	3
საბანკო სექტორი	5
საბარეო სექტორი	7
სავალუტო ბაზარი.....	11
ფულადი ბაზარი.....	14
მონეტარული აგრიგატები.....	15


“თვის მიმოხილვა“
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ

ინფლაცია

2023 წლის იანვარში წლიურმა ინფლაციამ 9.4% შეადგინა, ხოლო დეკემბერთან შედარებით ფასები 0.8%-ით გაიზარდა.


საქართველოში ინფლაციამ პიკური პერიოდი გადალახა და ბოლო თვეებში შემცირების ტრენდი აქვს. საერთაშორისო ბაზრებზე საქონლის ფასები სტაბილურად იკლებს და მცირდება საერთაშორისო გადაზიდვების ღირებულებაც. ეს ტენდენციები საქართველოს ბაზარს გადმოეცემა და გამყარებული ლარის კურსის ფონზე ინფლაციას ამცირებს. ინფლაციის შემცირებას გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკაც ხელს უწყობს.

თვის ინფლაცია 0.8% (წვლილი)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

წლიური ინფლაცია 9.4% (წვლილი)




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

იანვარში, წინა თვესთან შედარებით, ყველაზე გამოსარჩევი სეზონური პროდუქტების, ყველისა და მწვანელის, გაძვირება იყო, რამაც ინფლაცია ჯამში 0.2 პპ-ით გაზარდა. დამატებით, ნაგვის გადასახადის მატებამ (ქუთაისში) თვის ინფლაცია 0.1 პპ-ით გაზარდა. საპირისპიროდ, ბენზინის 8%-ით გაიაფებამ თვის ინფლაცია 0.1 პპ-ით შეამცირა.

სურსათზე ფასების ზრდამ იანვრის წლიურ ინფლაციაში 4.4 პპ-იანი წვლილი შეიტანა. აქედან ყველაზე მსხვილი კომპონენტები პურზე, კარცოფილზე და ყველზე წლიურად გაზრდილი ფასებია. ამ პროდუქტების წვლილი ჯამში 2.0 პპ-ს შეადგენდა. ბოლო თვეებში სანჯავის თანდათან გაიაფების პარალელურად სანჯავის წვლილიც ინფლაციაში მცირდებოდა. იანვარში ამ მაჩვენებელმა უკვე უარყოფითი 0.1 პპ შეადგინა.


საბაზო ინფლაცია, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მალალი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომადარებლების და სიგარეტის ფასებს გამორიცხავს იანვარში 7.7 %-ს შეადგენდა.

მთლიანი და საბაზო ინფლაცია



წყარო: საქსტატი

ჯგუფების წვლილი მთლიან ინფლაციაში




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები


ინფლაციის შემცირებას მეცნიერულად იმპორტირებული ინფლაციის კლება განაპირობებს. ბოლო თვეებში იმპორტირებულ ინფლაციას კლების ტენდენცია აქვს, რასაც საერთაშორისო ბაზრებზე სასაქონლო პროდუქტების ფასების გარკვეულ სტაბილიზაციასა და საერთაშორისო ტრანსპორტირების ხარჯების შემცირებასთან ერთად ლარის კურსის გამყარება უწყობს ხელს. იანვარში იმპორტირებული ინფლაცია 4.5%-მდე შემცირდა.

ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია მაღალია და 14.2%-ს შეადგენს. მაღალი ადგილობრივი ინფლაცია ერთი მხრივ, სურსათის (პური, ყველი, ხორცის) ფასების ზრდას, ხოლო მეორე მხრივ, მომსახურების გაძვირებას უკავშირდება, რომელთაგანაც მნიშვნელოვანი ბინის ქირის (წვლილი ინფლაციაში 0.8 პპ), სანოცარო გადასახდელის (0.3 პპ) და თერაპევტის კონსულტაციის (0.2 პპ) გაძვირებაა.

იმპორტირებული, შერეული და ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია და მათი წვლილი მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი


ინფლაცია დეტალურად	2023 წლის წონები	იან23/დეკ22		იან23/იან22	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	0.8%	0.8%	9.4%	9.4%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	33.1%	1.4%	0.5%	15.0%	4.8%
სურსათი	30.2%	1.5%	0.5%	14.9%	4.4%
პური და პურპროდუქტები	6.1%	1.3%	0.1%	22.8%	1.2%
ხორცი და ხორცპროდუქტები	6.7%	0.2%	0.0%	8.7%	0.6%
თევზი	0.5%	0.9%	0.0%	13.0%	0.1%
რძე, ყველი და კვერცხი	6.7%	2.5%	0.2%	16.7%	1.1%
ზეთი და ცხიმი	2.3%	-1.9%	0.0%	4.7%	0.1%
ხილი, ყურძენი	1.6%	2.6%	0.0%	1.6%	0.0%
ბოსტნეული, ბაღიკული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.5%	7.6%	0.3%	26.5%	0.8%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.2%	-2.0%	0.0%	12.4%	0.3%
კვების სხვა პროდუქტები	0.6%	1.0%	0.0%	12.2%	0.1%
უალკოჰოლო სასმელები	2.9%	0.1%	0.0%	16.7%	0.4%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.7%	0.6%	0.0%	8.7%	0.6%
ცანსაცმელი და ფეხსაცმელი	3.9%	-2.3%	-0.1%	-1.0%	0.0%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	9.0%	0.4%	0.0%	13.1%	1.1%
ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.2%	2.5%	0.1%	10.1%	0.5%
ჯანმრთელობის დაცვა	9.5%	0.6%	0.1%	-3.2%	-0.3%
ტრანსპორტი	11.8%	0.2%	0.0%	5.2%	0.7%
კავშირგაბმულობა	3.8%	-0.2%	0.0%	-0.7%	0.0%
დასვენება, გართობა და კულტურა	3.0%	0.2%	0.0%	6.5%	0.2%
განათლება	4.9%	0.0%	0.0%	7.0%	0.3%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.9%	1.0%	0.0%	14.7%	0.4%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5.3%	1.1%	0.1%	12.1%	0.6%
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	61.5%	0.8%	0.5%	9.3%	5.9%
საშუალო მოხმარების საქონელი	7.2%	-1.2%	-0.1%	4.3%	0.3%
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	4.7%	0.5%	0.0%	-6.7%	-0.4%
მომსახურება	26.6%	1.1%	0.3%	13.4%	3.2%

წყარო: საქსტატი

საბანკო სექტორი


2022 წლის დეკემბერში, საბანკო სექტორის სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად 7.12 მლრდ ლარით (თვიურად 1,708 მლნ ლარით) გაიზარდა და 44.4 მლრდ ლარი შეადგინა. სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად 19.11%-ით გაიზარდა, ძირითადად ეროვნული ვალუტის დეპოზიტების მატების გავლენით. კერძოდ, დეკემბერში წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტის სადეპოზიტო ვალდებულებები 1,036.0 მლნ ლარით (5.6%-ით) გაიზარდა და 19.4 მლრდ ლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა, ძირითადად იურიდიული პირების დეპოზიტების მატებამ გამოიწვია. რაც შეეხება უცხოური ვალუტის დეპოზიტებს, წინა თვესთან შედარებით, 292.8 მლნ დოლარით გაიზარდა, რაც ძირითადად ფიზიკური პირების დეპოზიტების ზრდას უკავშირდება. დეკემბერში, სამთავრობო სექტორის დეპოზიტები 567.7 მლნ ლარით შემცირდა.

სადაპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სადაპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


2022 წლის დეკემბერში დეპოზიტების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე) წინა თვესთან შედარებით 0.6 პპ-ით გაიზარდა და 6.38% შეადგინა. ეროვნული ვალუტით დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.4 პპ-ით გაიზარდა და 8.6% შეადგინა, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემულ დეპოზიტებზე პრაქტიკულად არ შეცვლილა და 0.9%-ს შეადგენს. რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები გაიზარდა, რაც მეტწილად ლარისა და დოლარის ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთების ზრდამ განაპირობა. კერძოდ, ლარის დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.3 პპ-ით გაიზარდა და 12.6% შეადგინა, ხოლო დოლარის დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით, 0.1 პპ-ით 1.24%-მდე გაიზარდა. ევროს ვადიანი დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთი უცვლელია და 0.78%-ის დონეზეა.

დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე, ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები ვალუტების მიხედვით (ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


უცხოური და ეროვნული ვალუტის დეპოზიტების ზრდის ცემპებიდან გამომდინარე, დეპოზიტების დოლარიზაცია, 2022 წლის დეკემბერში წინა თვესთან შედარებით 0.6 პპ-ით შემცირდა და 56.2%-ს შეადგენს. დეკემბრის ბოლოს, იურიდიული პირების დეპოზიტების დოლარიზაცია, წინა თვესთან შედარებით, 2.6 პპ-ით 41.1%-მდე, ხოლო ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია 1.2 პპ-ით 70.8%-მდე შემცირდა. დეკემბერში ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია წინა თვესთან შედარებით 0.5 პპ-ით, 66.4%-მდე შემცირდა.

**დამოზიდვის დოლარიზაცია
(კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


**ფიზიკური პირების ვალდანი დამოზიდვის დოლარიზაცია
(კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


2022 წლის დეკემბერში, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხები წლიურად 12.1%-ით გაიზარდა. სესხების ზრდის ცემპი წინა თვესთან შედარებით 1.7 პპ-ით შემცირდა. სესხების ზრდის ცემპის კლება მეტწილად უცხოური ვალუდით დაკრედიტების შენელებამ განაპირობა. დეკემბერში, ლარით დაკრედიტება წლიურად 16.5%-ით, 24.7 მლრდ ლარამდე გაიზარდა და მთლიანი სესხების ზრდაში 8.1 პპ-იანი წვლილი შეიტანა. უცხოური ვალუდით დაკრედიტება (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით) 8.0%-ით გაიზარდა და მთლიანი სესხების ზრდაში 4.0 პპ-იანი წვლილი შეიტანა. უცხოური ვალუდით დაკრედიტების კლება ძირითადად ბიზნეს სესხების ზრდის ცემპის შემცირებით არის განპირობებული. წინა თვესთან შედარებით, შენელებულია სამომხმარებლო და იპოთეკური სესხების ზრდის ცემპებიც.

**სესხების წლიური ზრდის დამაკვირვებელი
(კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**სესხები მიზნობრიობის მიხედვით
(წლიური ზრდის დამაკვირვებელი; კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


2022 წლის დეკემბერში სესხების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთები წინა თვესთან შედარებით 0.2 პპ-ით შემცირდა და 13.1% შეადგინა. ეროვნული ვალუდით სესხებზე საშუალო შენონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.5 პპ-ით 16.2%-მდე შემცირდა, ხოლო უცხოური ვალუდით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი 1.01 პპ-ით გაიზარდა და 8.6%-ის დონეზეა.

**საპროცენტო განაკვეთები იურიდიულ პირებზე
გაცემულ სესხებზე (ნააკალი)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სესხებზე (ნააკალი)





წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

იურიდიულ პირებზე ეროვნული ვალუდით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით გაიზარდა და 2022 წლის დეკემბერში და 14.1% შეადგინა. იპოთეკურ სესხებზე ეროვნული ვალუდით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.02 პპ-ით გაიზარდა და 12.4% შეადგინა. წამყვანი ცენტრალური ბანკების მიერ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთების ზრდასთან ერთად ადგილობრივ ბაზარზე უცხოური ვალუდით გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთებმა მოიმადა და ზრდას განაგრძობს. კერძოდ, დეკემბერში, იურიდიული პირების უცხოური ვალუდის სესხების საპროცენტო განაკვეთებმა, წინა თვესთან შედარებით 1.0 პპ-ით, 9.1%-მდე მოიმადა. ხოლო უცხოური ვალუდის იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთები 0.1 პპ-ით - 5.9%-მდე შემცირდა.

დეკემბერში მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაციამ, წინა თვესთან შედარებით, 0.2 პპ-ით მოიმადა და 44.7%-ს გაუცოლდა. იურიდიული პირების სესხების დოლარიზაცია წინა თვესთან შედარებით არ შეცვლილა და 60.8%-ს შეადგენს, ფიზიკური პირების სესხების დოლარიზაცია 0.1 პპ-ით 30.5%-მდე გაიზარდა. დეკემბერში, ვადაგადაცილებული სესხები, წინა თვესთან შედარებით, 74.9 მლნ ლარით შემცირდა და 447.8 მლნ ლარს გაუცოლდა. ვადაგადაცილებული სესხების 37.6% ეროვნული ვალუდით არის დენომინირებული.

დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)

ვადაგადაცილებული დავალიანება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საგარეო სექტორი

2022 წლის დეკემბერში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წელთან შედარებით 30.3%-ით გაიზარდა და 822.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. **საგარეო ვაჭრობის დეფიციტის მაცდობა ძირითადად საქონლის იმპორტის ზრდას უკავშირდება.** აღნიშნულ თვეში, საქონლის იმპორტი წლიურად 31.2%-ით, 1,378.4 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა, ხოლო ექსპორტი წლიურად 32.5%-ით გაიზარდა და 555.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

საქონლის ექსპორტ-იმპორტისა და სავაჭრო ბალანსის დინამიკა

სავაჭრო ბალანსი ქვეყნების მიხედვით (დეკემბერი, 2022)




წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი

იმპორტი - 2022 წლის დეკემბერში საქონლის იმპორტის ზრდა უმეტესად სამომხმარებლო საქონლის მაცდობამ განაპირობა. კერძოდ, **სამომხმარებლო საქონლის შესყიდვების ზრდა მეტწილად მსუბუქი ავტომობილების (რაც ასევე მათზე მომაცდობელი ფასების ასახვავა), საცელეფონო აპარატებისა და ნავთობპროდუქტების შესყიდვების ზრდას უკავშირდება.** დეკემბერში მაღალი იყო შუალედური საქონლის იმპორტიც. შუალედური საქონლის იმპორტის ზრდაში მაღალი წვლილით ნავთობის აირები და ნახშირბადიანი ფოლადის ნაგლინი გამოირჩეოდა. გარდა ამისა, დეკემბერში რეექსპორტისთვის განკუთვნილი სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების იმპორტი წლიურად ზომიერად შემცირდა. საინვესტიციო საქონლის მაცდობა უმეტესად გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების შესყიდვებმა გაზარდა. საქონლის იმპორტი წინა წელთან შედარებით რეალურად 19.8%-ით გაიზარდა.

საქონლის იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



წყარო: საქსტატი

საქონლის რეალური იმპორტი (წლიური ცვლილება)



წყარო: საქსტატი

ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან იმპორტის ზრდაში მალალი წვლილი შეიტანა რუსეთმა, რაც, კვლავ ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ასევე ნავთობის აირების შემოტანას უკავშირდება. სომხეთიდან იმპორტის ზრდა როგორც სპილენძის, ასევე ძვირფასი ლითონების მადნებისა და კონცენტრატების გაზრდილმა შესყიდვებმა გამოიწვია. დანარჩენი ქვეყნებიდან, კერძოდ, ჩინეთიდან - ნახშირბადიანი ფოლადის ნაგლინისა და გამომთვლელი მანქანების, არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან - საცელეფონო აპარატების, გერმანიიდან - მსუბუქი ავტომობილებისა და 10 მგზავრზე მეტი გადაწყვანი მანქანების, იაპონიიდან - მსუბუქი ავტომობილების, იტალიიდან - მექანიკური მოწყობილობების იმპორტი გაიზარდა. ამის საპირისპიროდ, იმპორტის შემცირება ჩილეიდან - სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, უკრაინიდან - სიგარეტები-სიგარილების, აზერბაიჯანიდან და თურქმენეთიდან - ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შემოტანის კლებით არის გამოწვეული. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი იმპორტის 61% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით იმპორტი უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.


დეკემბერში იმპორტირებულ საქონელში, წამყვანი წილი მსუბუქ ავტომობილებს, ასევე ნავთობპროდუქტებსა და ნავთობის აირებს (24%) ეჭირა. აღსანიშნავია, რომ დეკემბერში იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით წინა წლის დეკემბერთან შედარებით უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის იმპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით (დეკემბერი, 2022, ალს აშს დოლარი)

კატეგორია	მნიშვნელობა	კატეგორია	მნიშვნელობა	სამკერნალო საშუალებები, 43	
				გამომთვლელი მანქანები და მათი მლოკები, 21	სიგარეტი, სიგარილები, 19
მსუბუქი ავტომობილები	145	საინვესტიციო აპარატები	61	სიგარეტი, სიგარილები	19
ნავთობი და ნავთობპროდუქტები	101	სპილენძის მადნები და კონცენტრატები	50	სიგარეტი, სიგარილები	19
ნავთობის აირები	86	საინვესტიციო აპარატები	61	სიგარეტი, სიგარილები	19
საინვესტიციო აპარატები	45	საინვესტიციო აპარატები	61	სიგარეტი, სიგარილები	19
საინვესტიციო აპარატები	45	საინვესტიციო აპარატები	61	სიგარეტი, სიგარილები	19

წყარო: საქსტატი

ქვეყნების წილი საქონლის იმპორტში - (დეკემბერი, 2022)





წყარო: საქსტატი

ექსპორტი - 2022 წლის დეკემბერში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 32.5%-ით გაიზარდა. საქონლის ექსპორტის ზრდა მეტწილად **სამომხმარებლო საქონლის ექსპორტის ზრდამ განაპირობა, ხოლო შუალედური საქონლის ექსპორტმა მცირედით დაიკლო.** სამომხმარებლო საქონლის ექსპორტის მადნაში მნიშვნელოვანი წვლილი (55.8 კპ) მსუბუქმა ავტომობილებმა შეიტანა. გარდა ამისა, შუალედური სახის საქონლის ჯგუფში ფეროშენადნობების ექსპორტი მნიშვნელოვნად (წლიური 92%-იანი კლებით) შემცირდა, რამაც მთლიანი ექსპორტის ზრდა შეანელო. აღსანიშნავია, რომ შუალედური საქონლიდან სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ასევე მინერალური და ქიმიური სასუქების ექსპორტი კვლავ მალალი იყო. დეკემბერში საქონლის ექსპორტის მოცულობა რეალურად 39.1%-ით გაიზარდა.

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)

საქონლის რეალური ექსპორტი (წლიური ზრდა)



წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება


რეგიონის ქვეყნებიდან საქსპორტო შემოსავლების ზრდაში მალალი წვლილი შეიძლება სომხეთში ექსპორტის მატებამ, რაც კვლავ მსუბუქი ავტომობილებისა და 10 მგზავრზე მეტი გადამყვანი მანქანების გაზრდილ გაყიდვებს უკავშირდება. რეგიონის სხვა ქვეყნებიდან **აზერბაიჯანში, ყაზახეთში, ყირგიზეთსა და ტაჯიკეთში - მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი იმდენად მნიშვნელოვნად გაიზარდა, რომ ამ ქვეყნებთან დადებითი სავაჭრო ბალანსი კი გვექონდა.** უზბეკეთში კი დიდი რაოდენობით სიგარეტები-სიგარილების რეექსპორტი განხორციელდა. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია პერუში, ინდოეთსა და პანამაში - მინერალური და ქიმიური სასუქების, ბულგარეთსა და ჩინეთში - სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების გაყიდვების ზრდა. ამის საპირისპიროდ, აშშ-სა და რუსეთში - ფეროშენადნობების, ესპანეთში - სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, უკრაინაში - მინერალური და ქიმიური სასუქების ექსპორტი არსებითად შემცირდა. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი ექსპორტის 70% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

დეკემბერში საქონლის ექსპორტის უდიდესი წილი მსუბუქ ავტომობილებს, სპილენძის მადნებსა და კონცენტრატებს, ასევე მინერალურ და ქიმიურ სასუქებს ეჭირა (48%-იანი წილი მთლიან ექსპორტში). საქონლის ექსპორტის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი (24.3 პპ მთლიან ზრდაში) მსუბუქი ავტომობილების ექსპორტმა შეიძინა, რომელიც წლიურად 262%-ით გაიზარდა. ექსპორტის მოცულობაზე სპილენძის მადნებსა და კონცენტრატებზე, ქიმიურ-მინერალურ სასუქებზე, 10 მგზავრზე მეტ გადამყვან მანქანებსა და სიგარეტები-სიგარილებზე სავაჭრო მოთხოვნის არსებითი მატება (ჯამურად 12.3 პპ წვლილი მთლიანი ექსპორტის ზრდაში) დადებითად აისახა. ამის საპირისპიროდ, ფეროშენადნობების, ციფრუსების, შავი ლითონების ჯართისა და ყურძნის ნაფურალური ღვინოების ექსპორტი შემცირებულია. წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (დეკემბერი 2022, კლს აპშ დოლარში)

ქვეყნების წილი საქონლის ექსპორტში (დეკემბერი, 2022)

მსუბუქი ავტომობილები, 141	სპილენძის მადნები და კონცენტრატები, 91	მინერალური/ქიმიური სასუქები, 32		საირიანი სასმელები, 14	სამკურნალო საშუალებები, 11	სიგარეტი, სიგარილები, 11	ყურძნის ნაფურალური ღვინოები, 20
		კაპალი სხვა, ახალი ან გამშობარი, 13	ციფრუსების ნაყოფი ახალი ან გამშობარი, 10				




წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი

ფულადი გზავნილები - 2022 წლის დეკემბერში საქართველოში გადმორიცხული თანხების მოცულობამ წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 133.2%-ით მოიმატა და 535.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქართველოდან გადარიცხული თანხების მოცულობა 1.5%-ით 33.8 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა.


რუსეთიდან ფულადი გადმორიცხვები დეკემბერში კვლავ მაღალი იყო (317 მლნ აშშ დოლარი), რაც წინა წლის იმავე თვესთან შედარებით 8-ჯერ მეტია. დეკემბერში, რეგიონის ქვეყნებიდან, ყირგიზეთიდან გადმორიცხული ფულადი სახსრები მაღალი ცემპით გაიზარდა (206.4%-ით) და მთლიანი გზავნილების ცვლილებაში 3.7 პპ წვლილი შეიტანა. აღსანიშნავია ასევე სომხეთიდან გაზრდილი გზავნილებიც (231.1%-ით), ხოლო აზერბაიჯანიდან და უკრაინიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილები კვლავ შემცირებას განაგრძობს. მაღალი ცემპით გაიზარდა აშშ-დან გადმორიცხული ფულადი სახსრებიც (20.0%-ით). რაც შეეხება ქვეყნების მიხედვით განაწილებას, ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს დეკემბერში რუსეთი (60.7%), ევროკავშირის ქვეყნები (18.4%) და აშშ (5.5%) წარმოადგენდა. ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიის, საბერძნეთისა და გერმანიის მაღალი წილი მთლიან ფულად გზავნილებში.

ქვეყნების წილი სწრაფ ფულად გზავნილებაში (დეკემბერი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ფულადი გზავნილების ზრდა (წვლილი ზრდაში ქვეყნების მიხედვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ცურიზში - 2022 წლის დეკემბერში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა წლიურად 213.9%-ით გაიზარდა. ცურისცების რაოდენობამ მთლიანი ვიზიტორების 60.4% შეადგინა და წლიურად 110.7%-ით მოიმატა. აღნიშნულ თვეში, ერთდღიანი ვიზიტების რაოდენობა საგრძნობლად (12-ჯერ) გაიზარდა. მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლები ზრდას განაგრძობს და დეკემბერში წლიურად 188.2%-ით გაიზარდა. **აღსანიშნავია, რომ მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლები კრიზისამდელ დონეს აჭარბებს და 2019 წლის დეკემბერს 67.2%-ით აღემატება.** მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლების ზრდა ძირითადად რუსეთიდან (74.2 პპ), თურქეთიდან (56.0 პპ), უკრაინიდან (11.6 პპ) და სომხეთიდან (8.4 პპ) შემოსავლების ზრდას უკავშირდება.

ვიზიტორთა ტიპები



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლები




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზარი


2022 წლის დეკემბერში, წინა თვესთან შედარებით, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.7282-დან 2.6875-მდე (1.5%-ით) გამყარდა, ხოლო ევროს მიმართ საშუალოდ 2.7786-დან 2.8428-მდე (2.3%-ით) გაუფასურდა. თვის ბოლოს კი ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 2.7020 და 2.8844 შეადგინა. დეკემბერში ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალურმა მნიშვნელობამ - 2.7177, ხოლო მინიმალურმა 2.6646 შეადგინა.

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველთვიური მერყეობის დიაგრამა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დეკემბერში გაცვლითი კურსის მაქსიმალური და მინიმალური მნიშვნელობები საშუალო დონიდან თითქმის თანაბრად იყო გადახრილი.


დეკემბერში დოლართან მიმართებაში შესამჩნევია ევროს გამყარება, ასევე გამყარების ტენდენცია შქონდა ლარს და სომხურ დრამს; თურქული ლირა მცირედით გაუფასურდა, რუსული რუბლი შესამჩნევად გაუფასურებულია, აზერბაიჯანული მანათი კი პრაქტიკულად უცვლელი დარჩა.

თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან გადახრა (ლარი/დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საშუალო თვიური გაცვლითი კურსების ცვლილება დოლართან მიმართებაში. 2022 წლის დეკემბერი (ზრდა=გაუფასურება)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები გამყარებას განაგრძობს. დეკემბერში წლიურად, ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი - 15.0%-ით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 24.9%-ით გამყარდა. რაც შეეხება თვიურ ტენდენციას, წინა თვესთან შედარებით, დეკემბერში ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 0.6%-ით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 1.3%-ით გამყარდა. **ეფექტური კურსის გამყარება ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე უარყოფითად აისახება, თუმცა იმპორტირებულ ინფლაციას ამცირებს.** სავაჭრო პარტნიორთაგან დეკემბერში წლიური ინფლაცია თურქეთში, უკრაინაში, აზერბაიჯანში, ბელარუსსა და რუსეთში საქართველოზე მაღალი იყო, ხოლო დაბალი - ევროზონაში, სომხეთსა და აშშ-ში. **ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები მაღალ დონეზე ნარჩუნდება.**

ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსები (იან 2020=100)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპაჭრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები (2022 წლის დეკემბერი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზრის ცნდენციები


დეკემბერში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე მონაწილეობდა 13 ბანკი და 4¹ არასაბანკო ორგანიზაცია. სავალუტო ბაზრის მარკენებლების მიხედვით კონცენტრაცია გაზრდილია. **შერფინდალ-ჰირშმანის (HH) ინდექსი დაბალ დონეზე ნარჩუნდება, რაც სავალუტო ბაზრის კონკურენტულობაზე მიუთითებს.**

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის მთლიანი საპაჭრო ბრუნვა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებლები 5 ყველაზე აქტიური ორგანიზაციის წილებს მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დეკემბერში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა გაიზარდა. აღნიშნულ თვეში აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 243.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით 6.6 მლნ აშშ დოლარით, ხოლო წინა წლის დეკემბერთან შედარებით 144.7 მლნ აშშ დოლარით მეტია. ამავდროულად, ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით 0.2%-ით შემცირდა, ხოლო წლიურად 36.8%-ით გაიზარდა.


2022 წლის დეკემბერში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები თითქმის მთლიანად სპოტ² გარიგებებით ხდებოდა (97.8%) და 3,283.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიურად 974.3 მლნ აშშ დოლარით (თვიურად 641.5 მლნ აშშ დოლარით) გაზრდილია. სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე, დანარჩენი კი არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. საქართველოს ეროვნული ბანკის წილი მთლიან ვაჭრობაში 2.8% იყო. ჯამურად წესებზე დაფუძნებული ორმხრივი ინტერვენციების მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვამ თვის განმავლობაში 91.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

1 რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში.
2 სპოტ გარიგება ხდება იმავდროული ვალუტირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.

საბ-ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე



საოტ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დეკემბერში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე როგორც მოთხოვნა, ასევე მიწოდება გაზრდილია. საერთო ჯამში, დეკემბერში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა წლიურად 505.7 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურად 290.0 მლნ აშშ დოლარით) და 1,675.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო მიწოდება, წლიურად 468.6 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურად 351.5 მლნ აშშ დოლარით) და 1,607.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საოტ გარიგებებით როგორც ვალუტის შეძენაში, ასევე ვალუტის გაყიდვაში ყველაზე დიდი წილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე მოდიოდა.

დეკემბერში სავალუტო ფორვარდ³ გარიგებებით კომერციულ ბანკებსა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუტით ვაჭრობა წლიურად 48.6 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურად 48.0 მლნ აშშ დოლარით) და 72.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ფორვარდ გარიგებებით ვაჭრობის მნიშვნელოვანი ნაწილი არარეზიდენტ ბანკებსა და იურიდიულ პირებზე მოდიოდა. ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვამ 3.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ბანკთაშორისი საოტ გარიგებებით შექმნილი და გაყიდული უცხოური ვალუტა

ფორვარდ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა





წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2022 წლის დეკემბერში ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების მოცულობა თვიურად 264.8 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. საერთაშორისო რეზერვებზე ზრდის მიმართულებით, ძირითადად, მთავრობისთვის ჩარიცხულმა საპროექტო და პროგრამულმა სესხებმა და გრანტებმა, ასევე ეროვნული ბანკის მიერ უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვებმა, ხოლო კლების მიმართულებით მთავრობის სავალუტო ხარჯებმა, მათ შორის, საგარეო ვალის მომსახურებამ იმოქმედა.

3 სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების ჰეჯირებისათვის (დაზღვევისათვის). ფორვარდი იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.

ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები მთლიანი საერთაშორისო რეზერვების თვიური ცვლილება (მილიონ კურსით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი ბაზარი

დეკემბერში სადებოზიტო სერტიფიკატების ერთი აუქციონი ჩატარდა და 20 მლნ ლარის ღირებულების სამთვიანი სადებოზიტო სერტიფიკატი გაიყა. ამავე პერიოდში 20-20 მლნ ლარის 2 სადებოზიტო სერტიფიკატი დაიფარა. შესაბამისად წინა თვესთან შედარებით, სადებოზიტო სერტიფიკატების ნაშთი 20 მლნ ლარით შემცირდა და დეკემბრის ბოლოს 60 მლნ ლარი შეადგინა.


დეკემბერში სახაზინო ფასიანი ქაღალდების ხუთი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონებზე ჯამში 260.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. დეკემბერში ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, ორწლიანი, და ორი ხუთწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 20, 30, 20, 90 და 100, მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. დაფარვების გათვალისწინებით, **სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი წინა თვესთან შედარებით 277.9 მლნ ლარით გაიზარდა და 6,805.5 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანი პორტფელის 57.0%-ს კომერციული ბანკების, 30.0%-ს ეროვნული ბანკის, 8.8%-ს რეზიდენტების, ხოლო 4.2%-ს არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდები შეადგენს.**

სადებოზიტო სერტიფიკატების მოცულობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სადებოზიტო სერტიფიკატებისა და სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები მონეარული პოლიტიკის განაკვეთთან ახლოს მერყეობს. დეკემბერში, სადებოზიტო სერტიფიკატებისა და სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები შემცირდა. კერძოდ, დეკემბერში, წინა თვესთან შედარებით, სადებოზიტო სერტიფიკატებზე საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი 0.03 პპ-ით 9.96%-მდე შემცირდა. რაც შეეხება სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთებს, 6-თვიანი სახაზინო ვალდებულებების განაკვეთი 0.13 პპ-ით შემცირდა და 9.84% შეადგინა. ერთწლიანი სახაზინო ვალდებულებების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი 9.45% იყო, რაც წინა თვის მაჩვენებელზე 0.04 პპ-ით ნაკლებია. ორწლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.20 პპ-ით შემცირდა და 9.01% შეადგინა. ხუთწლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთი 0.17 პპ-ით 8.83%-მდე შემცირდა. ათწლიანი სახაზინო ვალდებულებების განაკვეთი კი, არ შეცვლილა. გრძელვადიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთების შემცირების ერთ-ერთ ფაქტორი შესაძლოა ბაზარზე ინფლაციური მძღოდინების შემცირება იყოს.

ფულადი ბაზრის საპროცენტო განაკვეთები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის შამოსავლიანობის გრადი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დეკემბერში ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის მოცულობა, თვიურად 3,174.3 მლნ ლარით, (წლიურად 11,347.9 მლნ ლარით გაიზარდა) 15,467.8 მლნ ლარამდე გაიზარდა, რაც როგორც ეროვნული, ასევე უცხოური ვალუტის რესურსის ბრუნვის ზრდამ განაპირობა. ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის დიდი წილი უცხოური ვალუტის ბრუნვაზე მოდის (70.2%), რომლის მოცულობაც თვიურად 2,021.1 მლნ ლარით (22.9%-ით) გაიზარდა. ლარის რესურსის ბრუნვის მოცულობა კი, თვიურად 1,153.2 მლნ ლარით (33.4%-ით) გაიზარდა.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ბანკთაშორის ბაზარზე ლარის რესურსზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.08 პპ-ით გაიზარდა და 10.70% შეადგინა. ხოლო უცხოური ვალუტის საპროცენტო განაკვეთი თვიურად 0.13 პპ-ით 1.38%-მდე გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ დეკემბერში ფულადი ბაზრის რესურსის 25.6% ერთ თვემდე ვადიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 71.9% კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული აბრეგატები

2022 წლის დეკემბერში, წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 800.6 მლნ ლარით (14.7%) გაიზარდა და პერიოდის ბოლოსთვის 6.3 მლრდ ლარი შეადგინა. მონეტარული ბაზა საშუალო მაჩვენებლის მიხედვით წინა თვესთან შედარებით, 75.4 მლნ ლარით (1.3%-ით) შემცირდა.


საბანკო სისტემაში შიდასამთავრობო კონვერტაციებით, ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო შესყიდვებმა 68.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სავალუტო ინტერვენციებით ეროვნულ ბანკს ინტერვენციები არ განუხორციელებია. BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვებმა თვის განმავლობაში 91.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მთლიანობაში შიდა სამთავრობო კონვერტაციებით, სავალუტო ინტერვენციებით და BMatch მექანიზმით, წმინდა უცხოური აქტივები დაახლოებით 160.2 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. დეკემბერში მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 610.8 მლნ ლარით გაიზარდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის 1,779.7 მლნ ლარს გაუცოლდა.

სარეზერვო ფულის თვიური ცვლილება კომპონენტების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი აგრეგატი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დეკემბერში ნაღდი ფულზე მოთხოვნა 269.0 მლნ ლარით გაიზარდა. რეფინანსირების სესხები წინა თვესთან შედარებით 570.0 მლნ ლარით გაიზარდა და 2,440.0 მლნ ლარი შეადგინა. ერთთვიანი სესხის მოცულობა უცვლელად 400 მლნ ლარზე შენარჩუნდა, ხოლო ერთდღიანი სესხი 195.0 მლნ ლარით გაიზარდა. ამავე პერიოდში, მცირე და საშუალო ბიზნესის ლიკვიდობის მხარდამჭერი სესხი 15.4 მლნ ლარით შემცირდა და 371.9 მლნ ლარს შეადგენს. საანგარიშო პერიოდში, განთავსდა 20 მლნ და დაიფარა ორი 20-20 მლნ ლარის ნომინალური მოცულობის სადეპოზიტო სერტიფიკატები. მთლიანობაში, დეკემბერში, ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 769.6 მლნ ლარით გაიზარდა და პერიოდის ბოლოსთვის, 3,392.6 მლნ ლარს გაუცოლდა. მეორად ბაზარზე სახაზინო ფასიანი ქაღალდების წმინდა შესყიდვამ 100.0 მლნ ლარი შეადგინა და პორტფელის მოცულობა 100.0 მლნ ლარით გაიზარდა.


2022 წლის დეკემბერში ფართო ფულის (M3) მოცულობა თვიურად 2,382.7 მლნ ლარით გაიზარდა, ძირითადად M2 აგრეგატის (ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული და სადეპოზიტო ვალდებულებები უცხოური ვალუტით) მატების გავლენით. თავის მხრივ, M2 აგრეგატის ზრდა (გაიზარდა 1,878.5 მლნ ლარით) მეტწილად ეროვნული ვალუტის დეპოზიტების მატებამ განაპირობა (გაიზარდა 1,676.4 მლნ ლარით).

საბანკო სექტორის ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული ოპერაციები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ცხელი ხაზი: 240 64 06
ელ ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge

